

## მწვანე ალტერნატივას პოზიცია

### სს „დარიალი ენერჯის“ წარმოდგენილ მოსაზრებებთან დაკავშირებით

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, „საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საზოგადოების წარმომადგენელთა შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის წერილობითი დასაბუთება და მათი ავტორისთვის (ავტორებისთვის) გაგზავნა. ეს წერილობითი დასაბუთება (შესაბამის წერილობით შენიშვნებთან და მოსაზრებებთან ერთად) საქმიანობის განმახორციელებელმა, გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების ამსახველ ოქმთან და გზმ-ის ანგარიშთან ერთად, უნდა წარადგინოს ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში. ამ პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები გზმ-ის ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

კანონის ამ მუხლის შესრულების თაობაზე მსჯელობდა სასამართლო და ითხოვდა სს „დარიალი ენერჯისგან“ აღნიშნულის მტკიცებულებებს. სს „დარიალი ენერჯი“ ამტკიცებდა, რომ გზმ დოკუმენტის მომზადებისას გაითვალისწინა ორგანიზაციის შენიშვნები, თუმცა ეს არ დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი მასალებით. კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ადგილი ქონდა გაუგებრობას და წარმოადგენდნენ მტკიცებულებებს მწვანე ალტერნატივას კომენტარების განხილვისა და გათვალისწინების შესახებ, ასევე პასუხების გაგზავნის შესახებ. ნაცვლად ამისა, 29 ნოემბერს წარმოადგინეს დოკუმენტი: „სს „დარიალი ენერჯის“ წარმომადგენლის ლაშა უფლისაშვილის მოსაზრებები მტკიცებულებებთან დაკავშირებით“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს ვთხოვთ მიიღოს მხედველობაში, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს მტკიცებულებას, რომლის წარმოდგენაც ითხოვა სასამართლომ და პირიქით, ადასტურებს მწვანე ალტერნატივას მტკიცებას იმის შესახებ, რომ არ იქნა უზრუნველყოფილი ჩვენი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამასთანავე, სს „დარიალი ენერჯის“ მიერ 29 ნოემბერს სასამართლოს სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტის „სს „დარიალი ენერჯის“ წარმომადგენლის ლაშა უფლისაშვილის მოსაზრებები მტკიცებულებებთან დაკავშირებით“ შინაარსთან დაკავშირებით აღვნიშნავთ შემდეგს:

წარმოდგენილი მოსაზრებები არ ცემს არგუმენტირებულ პასუხს და ვერ უარყოფს მწვანე ალტერნატივას მიერ დასმულ არც ერთ საკითხს. საჭიროდ ჩავთვალეთ მოკლედ გაგვეცა პასუხი ამ დოკუმენტზე:

- დარიალჰესის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო ნებართვის გაცემამდე დაახლოებით სამი თვით ადრე, რისი მტკიცებულებებიც (მათ შორის ფოტო-მასალა) წარვადგინეთ ჯერ გარემოს დაცვისა და

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებში, ხოლო მოგვიანებით - საქართველოს პროკურატურაში.

- სს „დარიალი ენერჯის“ წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ „საქართველოში მიღებული პრაქტიკის თანახმად“ განისაზღვრა, რომ მდინარის წყლის ხარჯის 10%-ის დატოვება მისაღებია. უნდა მკაფიოდ აღვნიშნოთ, რომ ამგვარი პრაქტიკის დამკვირდება სწორად ახლა, ამ პროექტითა და რამდენიმე მიმდინარე პროექტით (ბახვი, ფარავანი) ხდება. ორივე მათგანს აქვს კონსტრუქციული ხასიათის პრობლემები მშენებლობის ამ ეტაპზე (დატბორვა, შენობის დანგრევა). ფარავანჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების კვლევაც შესრულებულია ფირმა „გამას“ მიერ. ამასთან, 2003 წელს ლაგოდების დაცულ ტერიტორიებში დაგეგმილი ანალოგიური პროექტის შემთხვევაში, „გამას“ წარმომადგენლის ჯ. გაბეჩავას მიერ ხელმოწერილ დასკვნაში აღნიშნულია, რომ 25% წყლის დატოვება არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ არ გამოეწვია ბიომრავალფეროვნების შეუქცევადი დეგრადაცია.

სასამართლო განხილვაზე არაერთხელ ახსენა მოწინააღმდეგე მხარემ (მათ შორის გზმ ექსპერტებმა), რომ ე.წ. „მდინარის სანიტარული ხარჯი“ საბჭოთა პერიოდის „ნორმების“ მიხედვით შეადგენს მდინარის საშუალო წლიური ჩამონადენის 10%. თუმცა აქვე თქვეს, რომ ამგვარი ნორმა არ იყო დადგენილი არც ერთი ნორმატიული აქტით. ასევე არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ საბჭოთა დროში „მდინარის 10%-ანი სანიტარული ხარჯი“ გამოიყენებოდა დერივაციული ჰესების მშენებლობისას. მაგალითად, ასეთი ტიპის ჰესია ზაჰესი. მდინარის კალაპოტში 10%-ის დატოვება რომ მისაღები და შესაძლებელი ყოფილიყო, ზაჰესი იქნებოდა არა საშუალო ჰესი - 36,8 მეგავატიანი, არამედ დიდი ჰესი, მაგალითად - 150 მეგავატიანი. სამაგიეროდ, მცხეთიდან თბილისამდე მდინარე მტკვრის მაგივრად იქნებოდა მისი მეათედი სიმძლავრის დელე.

- ვერც წარმოდგენილ დოკუმენტში და ვერც გზმ ანგარიშის კომენტარებში ვერ სცემს პასუხს სს „დარიალი ენერჯი“ ჩვენს არგუმენტს, ე.წ. „ტენანტის მეთოდის“ (იგივე „მონტანის მეთოდის“) არასწორი ინტერპრეტაციის შესახებ. 29 ნოემბერს წარმოდგენილ პასუხშიც კი აღნიშნულია, რომ პროექტის „მდინარეში წყლის დონის მკვეთრად შემცირება მნიშვნელოვან ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს იქთიოფაუნაზე და ეს სადაო არ არის, მაგრამ დადგენილი ეკოლოგიური ხარჯის სისტემატურად გატარება წყალმცირების პერიოდში გარკვეულ პირობებს შექმნის იქთიოფაუნის ცხოველმყოფელობისათვის“ (მე-3 გვერდი). „ტენანტის მეთოდით“ განისაზღვრება, რომ მდინარეში საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დატოვების შემთხვევაში ჰაბიტატის მდგომარეობა იქნება „ცუდი ან მინიმალური“. „დარიალი ენერჯის“ მიერ გამოყენებული ტერმინი „გარკვეულ პირობებს შექმნის“ და „ტენანტის მეთოდით“ განსაზღვრული „ცუდი ან მინიმალური“, საქართველოს კანონმდებლობის ენაზე ნიშნავს ბიომრავალფეროვნების, მათ შორის წითელი ნუსხის სახეობის საბინადრო გარემოს შეუქცევადი დეგრადაციას, რაც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეშ დარღვევას. კერძოდ: საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მუხლი 46. „ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა დაცვა“, მე-2 პუნქტი „აკრძალულია ყოველი ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს, საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალებს და სამიგრაციო გზებს“. საქართველოს კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ, მუხლი 10. **„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის ძირითადი მოთხოვნები“**, მე-2 პუნქტი „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის

შემცირება, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება, გარდა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა“. **მუხლი 11. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა დაცვა“** „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა, გარდა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.“

კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, “საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. გარდა ზემოხსენებული საქართველოს კანონებისა ირღვევა “ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ” კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლები და ევროპის საბჭოს „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის“ 1-ლი, მე-4, მე-6 მუხლები (კალმახის გარდა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს წითელ ნუსხაში და ბერნის კონვენციის მე-ე დანართში შეტანილ სახეობას წავს *Lutra lutra*).

ამასთანავე, არაფერია ნათქვამი სახეობის ჰაბიტატის (საბინადრო გარემოს) ფრაგმენტაციაზე, რომელიც ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მიერ აღიარებულია, როგორც სახეობების გადაშენების უმთავრესი საფრთხე. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მონაცემების მიხედვით, დედამიწაზე გადაშენებული სახეობების დაახლოებით 80%-ის გადაშენების მიზეზი არის საბინადრო გარემოს დეგრადაცია და ფრაგმენტაცია. ამდენად მტკიცება იმისა, რომ მიუხედავად მდინარის ხარისხის გაუარესებისა, წითელი ნუსხის სახეობები მაინც არ გადაშენდებიან სრულიად უადგილოა, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება.

განსაკუთრებით საყურადღებოა მდინარის ნატანის საკითხი და ის პრობლემები, რომლებიც შეიქმნება მდინარის მხოლოდ 10%-ის ბუნებრივ კალაპოტში დატოვებით. როგორც გზმ-დან ჩანს, ნატანის რაოდენობის შესახებ ბოლო ინფორმაცია 1940 წელს განეკუთვნება.

ე.წ. სალექარი მდ. ყუროს და თერგის შესართავთანაა დაგეგმილი. თავად დაბა სტეფანწმინდა მდ. ყუროსა და მის სამხრეთით მდებარე ორი ხევის მიერ შექმნილ გამოზიდვის კონუსზე მდებარეობს. დაბა სტეფანწმინდიდან ჩრდილოეთით, მდ.თერგს ერთმანეთისგან 200-300 მეტრის დაშორებით მარჯვნიდან მდ. ყურო ერთვის, მარცხნიდან - მდ. ჩხერი. მათი შეერთების ადგილი მძლავრი კონგლომერატების წარმოქმნით გამოირჩევა. ორი მდინარის მიერ გამოტანილი ნაშალი მასალის ტრანსპორტირება - თერგის ფუნქციაა.

პალეოგეოგრაფიულ პერიოდში, თერგი ვერ ასწრებდა რა ყუროსა და ჩხერის მიერ წარმოქმნილი ნაშალის გატანას, წარმოიქმნა ვაკე ჭალები სტეფანწმინდიდან სიონის და სნოს ხეობის მიმართულებით. ყურო-ჩხერის თერგთან შეერთების შემდეგ კი სტეფანწმინდიდან დარიალის მიმართულებით მდ. თერგის მკვეთრი ვარდნა - სწორედ ამ მდინარეთა მიერ შექმნილი დაგროვილი

ინერტული მასალის შედეგია. ამით იმის თქმა მინდა რომ მდ. თერგი ვერ უზრუნველყოფს ნალექის სწრაფად ტრანსპორტირებას. ანუ, იმდენად დიდია ყუროსა და ჩხერის მიერ ჩამოტანილი ნალექი რომ თერგი გატანას ვერ ახერხებს.

მწვერვალ ყუროდან, რომელიც გამოფიტვის შედეგად (ფიზიკური და ა.შ) წარმოიქმნება ქვის ზვავები. აღნიშნული ზვავებით ჩამოტანილი ქვა-ღორღი გროვდება მდ. ყუროს ვიწრო ხეობაში, მდინარე კი ასე თუ ისე ტრანსპორტირებას უკეთებს ნაშალ მასალას მდ. თერგისაკენ. თერგი თავის მხრივ წმინდავს ყუროს მიერ მოტანილ მასალას და დარიალისაკენ მიაქვს იგი. მდ.ყურო ზვავების მიერ დაგროვილ მასალას განსაკუთრებით ინტენსიურად ჟღინთავს წყლით, გადააქცევს ღვარ-ცოფად და სელური ნაკადის სახით მიაქნებს მდ. თერგისაკენ. ყუროს მიერ წარმოქნილი სელური ნაკადი გზად ყველაფერს ანადგურებს, მის მიერ ერთ ჯერად ჩამოტანილი მასალა ასეულობით კუბურ მეტრს შეადგენს, რამდენიმეჯერ თერგიც გადაუკეტავს. ყუროდან სელური ნაკადების გამოსვლა წელიწადში რამოდენიმეჯერ ხდება! ყურო-თერგის ბუნებრივი ბალანსი ძალზე მგრძობიარეა, მაგრამ დღეისთვის, ასე თუ ისე შენარჩუნებულია!

ზემოხსენებულიდან გამომდინარე პროექტის წარმოდგენილი სახიტ განხორციელების შემტხვევაში, ადგილი ექნება შემდეგ პროცესებს:

დ.თერგი, რომელიც ბუნებრივად ტრანსპორტირებას უწევს თავისი მრავალრიცხოვანი შენაკადებიდან წამოდებულ მასალას, დაგროვდება ყუროს და ჩხერის შესართავებთან, რაც გამოიწვევს თერგის კალაპოტის აწევას ათეული მეტრებით (სამაგალითოდ იხ. მდ. არაგვის ჭალები სოფ ანანურთან!).

ღვარცოფული მდ. ყურო თავის ჩამოტანილ მასალას ვეღარ გაატანს თერგს, იგი დაგროვდება, გამოავსებს ისედაც ვიწრო ყუროს ხეობას, **რის შედეგადაც დაბა სტეფანწმინდა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება!**

თერგის მარჯვენა შენაკადის - ყუროს მსგავსად, იგივე პროცესები იქნება მდ. ჩხერიც მიმართებაშიც, რომელიც იმავე ადგილას, მარცხნიდან უერთდება თერგს (მაგალითისთვის იხ. არაგვის ხეობა მლეთასთან ლომისის მიდამოები).

ირაკლი მაჭარაშვილი  
მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელი,  
ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი